მმართველობის სტილის გავლენა თანამშრომლის შრომით კმაყოფილებაზე საქართველოს საბანკო სექტორში

ეკა პაპაშვილი

ნინო გულდამაშვილი

თეკლა რურუა

ჯგუფი # 2

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: ბერიკა შუკაკიძე, განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დაადგინოს, ახდენს თუ არა გავლენას მენეჯერის მართვის სტილი თანამშრომელთა შრომით კმაყოფილებაზე ქართულ საბანკო სექტორში.

ორგანიზაციაში დამკვიდრებული მართვის სტილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს თანამშრომლის შრომით კმაყოფილებაზე და შესაბამისად, ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებაზეც. შრომითი კმაყოფილება გამოხატავს მომუშავის განწყობას საკუთარი სამუშაოს მიმართ და დაკავშირებულია ისეთ ორგანიზაციულ შედეგებთან, როგორიცაა კადრების დენადობა, აბსენტიზმი, შესრულების ეფექტურობა, ორგანიზაციისადმი ერთგულება და ა.შ. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი, დაგვედგინა მიმართება მართვის სტილსა და მომუშავის შრომით კმაყოფილებას შორის.

წინამდებარე კვლევა ჩატარებულია საბანკო სფეროში დასაქმებულ ადამიანებზე, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს სეგმენტი საქართველოში საკმაოდ განვითარებულია, თუმცა კვლევები ამ ორ ფაქტორს შორის კორელაციის შესახებ ნაკლებად არის ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის.

ნაშრომის მიზანია დადგინდეს, თუ როგორ აღიქვამს თანამშრომელი უშუალო ხელმძღვანელის მართვის სტილს და როგორ აისახება ის შრომითი კმაყოფილების დონეზე.

საკვლევ მეთოდად გამოყენებულია მინესოტას შრომითი კმაყოფილების საკვლევი კითხვარი (მოკლე ვარიანტი) და ასევე მართვის სტილის საკვლევი ტესტი.

კვლევა ჩატარდა 137 რესპოდენტზე, რომელთაგანაც 77 ქალი და 60 მამაკაცია. თითოეული ცდისპირი დასაქმებული იყო საქართველოს საბანკო სექტორში.

კვლევის ანალიზისათვის გამოყენებულია რამდენიმე სტატისტიკური მეთოდი. კორელაციის დასადგენად შეირჩა პირსონის მოდელი, ხოლო ჯგუფებს შორის განსხვავებები გამოვლინდა დისპერსიული ანალიზის მეთოდით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მართვის სტილსა და შრომით კმაყოფილებას შორის მართლაც არსებობს გარკვეული მიმართება. კერძოდ, დემოკრატიული ტიპის მმართველობასა და შრომით კმაყოფილებას შორის არის დადებითი კორელაცია, ავტორიტარული ტიპის მმართველობასა და შრომით კმაყოფილებას შორის კი - უარყოფითი, ასევე ლიბერალური მართვის სტილსა და შრომით კმაყოფილებას შორის გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სანდოობის 95 %-იან ინტერვალზე.